№ 182, სამშაბათი, 29 აპრილი. 1896–1897 სამშაბათი, 29 აპრილი, № 182.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели".
Телефонъ № 363.

სათავად-აზნაურო თეატრი
1-ლ მაისიდამ წარმოდგენებს გამართავს რუსული
საოპერეტო დასი
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი კრონებერგი, შერი, ჩოსნოვსკაია და ბ-ნი კლემენტიევი.
ვინც ამ თავითვე ბილეთებს იყიდის, 20% ღირებულისა დაეთმობა.
დირექცია გ. ს. მესხისა. უფროსი რეჟისორი და ლოტბარი ბ. გივიენი.
პირველის წარმოდგენების ბილეთები უკვე ისყიდება კასსაში.

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია მარტში (შეღავათიანის ვადით ხელის-მომწერთ)

პირველ აპრილიდან გაზეთი არ გაეგზავნება.

დღეიდან გაზეთი წლის დამლევამდე «საქართველოს კალენდრით»

ღირს ხუთი |5| მანათი.

ქართველ მკითხველთ საყურადღებოდ

ჩვენ განვიზრახეთ ცნობილ რუსის ე. ვოდოვოზოვის თხზულება
«როგორ ცხოვრობს ხალხი ქვეყანაზე»
(ინგლისელები, ფრანგები და გერმანელები)
ქართულად ვთარგმნოთ და დავსტამბოთ.

ჩვენი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ ეს სასარგებლო წიგნი ქართველ საზოგადოებაში გავრცელდეს. ამიტომ, ჩვენ განვიზრახეთ წინ-დაწინ ხელის-მოწერით შევაგროვოთ მის გამოცემისათვის საჭირო ფული.

წიგნი სამ ტომად გამოვა, ექნება 600 გვერდამდე, 18—30-მდე სურათები და ეღირება 1 მანათი და 20 კაპ.

ვინც წინდაწინ შემოიტანს ფულს, წიგნი დაეთმობა მანათად.

გამოცემას ჰკისრულობს ამხანაგობა „გლეხი".

ხელის-მოწერა მიიღება შემდეგ ადგილებში:

ტფილისში—ბ-ნ ზაქ. ჭიჭინაძესთან; **გორში**—ექვთიმე კოპლატაძესთან; **ხაშურში**—სტეფანე ნოზაძესთან; **ჭიათურაში**—ერმალოზ კიწმარეიშვილთან და გერასიმე ბერიძესთან; **საჩხერეში**—იასონ ლამბაშიძესთან; **შორაპანში**—რაჟდენ გაჩეჩილაძესთან; **ზესტაფონში**—ილია მაღლაკელიძესთან, ვანო არდიშვილთან და ტრიფონ ნიორაძესთან; **ოზურგეთში**—ლადიკო ჩხაიძესთან; **ქუთაისში**—თეოფილე ხუსკივაძესთან, ბეჟანეიშვილისა და ქილაძის წიგნის მაღაზიებში და მიტროფანე ლაღიძესთან; **ახალ-სენაკში**—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში; **ბათომში**—მიხეილ გაჩეჩილაძესთან; **სოხუმში**—მამა ბესარიონ ხელაიასთან და ყარპეზ წეროძესთან; **ბუღდაუთში**—ბაგრატ მჭედლიძესთან; **ნოვოროსისკში**—სილოვან კალანდაძესთან და სხვაგან ყველა წიგნის მაღაზიებში.

პირდაპირ ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: **Батумъ, Михаилу Гачечиладзе.** (30–6)

ტელეფონი № 346

ტელეფონი № 346

სავაჭრო სახლი
ს. პ. პავლოვი და კ.
ტფილისი, დოლის-მეღვინეთის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.
მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული და საუკეთესო
საკერავი მაშინები
ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 მანათამდე,
ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმობისათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.
მაშინების სიკეთეს **სამის წლით** თავდებად ვუდგები.
ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.
Торговый домъ С. П. Павлова и К°. (100—45 წ.)

რედაქციისაგან

შეღავათიანი განცხადებანი

„ცნობის ფურცლის" რედაქცია იმ პირთ, რომელთაც სჭირდებათ განცხადება რაიმე საქმის მოსაპოვებლად, მაგ.: მასწავლებლებს, მოწაფეთ, ექიმებს, ვექილებს, მწერლებს, მთარგმნელებს, წიგნების გამომცემელთ და სხვათა, განცხადებას უბეჭდავს სულ მცირე ფასად: **სტრიქონი პირველ გვერდზე 3 კაპ.** (ორი შაურის მაგიერად) **და უკანასკნელ გვერდზე 2 კაპ.** (შაურის მაგიერად).

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და 1½—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 6½—7½ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ზ. თოფურიასი
ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.** გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ზ თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ქ. ზერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოზანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს.ზ. თოფურია.** (წ.)

ექიმი
უ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფს იღებს ყოველ დღე
დილის 11—12 საათამდე და
საღამოს 6—7 მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

დეპეშა

„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან. გაზეთ „ცნობის ფურცლისა".

27 აპრილი.

პარიზი. ქალაქი მწუხარების სურათს წარმოადგენს. დიდი მაღაზიები დაკეტილია. პარიზის ღვთის-მშობლის ტაძარში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი; დაესწრნენ რესპუბლიკის პრეზიდენტი, მინისტრები და სადიპლომატიო კორპუსი. ბერლინიდგან მოვიდა თავადი რაძივილი, ვითარცა წარმომადგენელი იმპერატორის ვილჰელმისა. დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოოზის ძემ ელისეს სასახლეში დასტოვა სადარბაზო ბარათი და თავისი მწუხარება განაცხადა.

კონსტანტინეპოლი. ედჰემ-ფაშა იუწყება, რომ ოსმალთა ჯარიველესტინოში შევიდა. ბრძოლა სასტიკი იყო. ველესტინოს ციხის უფროსის სიტყვით, საბერძნეთის ჯარი, რომელიც 15,000 კაციდგან შესდგებოდა, ვოლოში გაიქცა, ზოგი—ერმინში.

კონსტანტინეპოლი. ჰამდისა და მემდუჰის ჯარებმა, სასტიკის ბრძოლის შემდეგ დაიჭირეს ფარსალის მახლობელი ადგილები. შემდეგ ჰასანისა და ჰამდის ჯარებმა ფარსალი დაიპყრეს და ხელთ იგდეს საბერძნეთის ბატონიშვილის ბარგი, ექვსი ზარბაზანი და დიდძალი ტყვია-წამალი. როდესაც ოსმალებმა ფილაფთეფე აიღეს, ბერძნები გაიქცნენ.

ველესტინო. ბერძნებმა ვოლო მიატოვეს. ინგლისისა, რუსეთისა, საფრანგეთისა და ავსტრი-უნგრეთის გემებმა ჯარი გადმოსხეს ქალაქის დასაცველად. აქვე მოვიდნენ ელჩები ედჰემ-ფაშასთან მოსალაპარაკებლად. ოსმალეთის ჯარი ქალაქში შედის. ბერძნები არმიროდგან დომოკოსში გაიქცნენ.

კონსტანტინეპოლი. ველესტინოდგან 26 აპრილს დეპეშით იუწყებიან: ,,ინგლისისა და საფრანგეთის ელჩები, საელჩოს კორპუსის მინდობილობით, ველესტინოში მოვიდნენ და ამბავი მოიტანეს, რომ ბერძნები ვოლოდგან წავიდნენო. რადგანაც ბერძნებმა ციხეებიდგან გამოუშვეს პატიმრები, ამიტომ, რათა ქალაქი არ გაეძარცვათ, ელჩებმა ჯარი გადმოსხეს—და ეხლა თხოულობენ, რომ უცხოელთა ახალშენები ოსმალეთის ჯარმა დაიცვასო. ედჰემ-ფაშამ ამაზედ თვისი თანხმობა განაცხადა. პოლკოვნიკი ევერფაშა ათის ბათალიონით ვოლოში მივიდა. ედჰემ-ფაშას ებრძანა, ექვსის ბათალიონით მაღლობები დაიჭიროთ და ოთხიც ქალაქში დააყენეთო. 26 აპრილს, ნაშუადღევის ორ სათზედ ვოლო ოსმალებმა დაიპყრეს.

კანეა. მეამბოხეებმა თოფები დაუშინეს ნოროკურიდგან გამოსულ მეშვიდე რაზმს, ავსტრიელთ არავითარი ზარალი არ მოსვლია.

ათინა. ვოლოდგან წამოსული მატარებელი, რომლითაც დაჭრილნი მოჰყავნდათ, ჯერ არ მოსულა. ჰფიქრობენ, რომ მატარებელი ოსმალელებმა დაიჭირესო.

ვონოსი დეპეშით იუწყება, რომ ოსმალელები არტოზედ მიდიან.

„გორიბარდიელთა" მისვლამ საზღვარზედ რამდენიმე უსიამოვნო ამბავი გამოიწვია. ზოგიერთნი დამთვრალნი იყვნენ, ქუჩაში დადიოდნენ და ჰყვიროდნენ: „გაუმარჯოს სოციალიზმსო"! მცხოვრებნი ზიზღით მოეპყრნენ.

კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

გზათა სამინისტროს უწყება.

დანიშნულ იქმნა: კავკასიის გზათა ოლქის სამმართველოის მოხელე კოლლეჟსკი სეკრეტარი ნათიშვილი ფასანაურის ზასტავის უფროსად, თერგის განყოფილებაში.

საერო განათლების უწყება.

უმაღლესად მიეცათ ჯილდოდ, სადგომოდ, „ერთგულებისათვის", ოქროს გულის მედალი: წმ. ანნას ლენტზე, გორის დედათა პროგიმნაზიის უფროსს—თავ. მარიამ მაყაშვილისას, წმ. სტანისლავის ლენტით: დ. ზუგდიდის დეპუტატს—დათა კარტოზიას და მოვაჭრეთ: ნიკო ბასილაიას, ბათურა პატარაიას, კოსტა ხაბურზანიას, ვატა დარჯანიას და მარკოზ მიმინო[illegible] ვერცხლის მედალი [illegible]ლავის ლენტით ჯილდოთ: ოზ[illegible]გეთის მაზრის, სოფ. ნიგოი[illegible] სკოლის მზრუნველებს თეოფილე ჭელიაძეს და სოფრომ თავდიშვილს და ჩიბათის სოფლის საზოგადოების მამასახლისს ერმალოზ სურგულაძეს; რაჭის მაზრის ბუგეულის მამასახლისს—ივანე გაგოშიძეს, ზატარა-ონის მამასახლისს—ილარიონ კიკვაძეს და

ნიკორწმინდის მამასახლისს—ფრიდონ ჭელიძეს.

სამხედრო უწყება:

დანიშნულ იქმნა: რაჭის მაზრის უფროსი—პოდპოლკოვნიკი ქავთარაძე—სენაკის მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად.

გადაყვანილ იქმნა: სალიანის რეზერვის პოლკის პორუჩიკი ნატიაშვილი—სამხედრების დარაჯთა ცალკე კორპუსში.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

⁂ **სავაჭრო და სამრეწველო ამხანაგობები.** ძალიან შეგვიყვარდა ჩვენ ეს სათაური და განზრახვა გვაქვს ხშირად მივმართოთ ხოლმე მას. ადრევ მოგახსენეთ და ახლაც გავიმეორებთ: ნუ თუ სავაჭრო სახლის „შუამავალის“ მეტს ვერას მოახერხებს და მოიფიქრებს ქართველობა? ძალიან დაგვავალებენ ჩვენი უანგარო თანამშრომელნი პროვინციებიდამ, რომ ეს საკითხი გასაჯონ ყველგან და აზრი და გეგმა ახალის რამ საერთო საზოგადო საქმის, ახალის ამხანაგობისა იმათ მაინც მოაწოდონ ტფილელებს.

ჩვენ ამ ხელად გავახსენებთ ჩვენს საზოგადოებას, და მეტადრე ქართველს მასწავლებლებს, ერთს საქმეს, რომელიც ადვილად მოსახერხებელია ამხანაგობით გეგმაზედ. ჩვენა გვაქვს სახეში ქართულ-რუსულის წიგნებით ვაჭრობა ტფილისში. ვის შეშვენის წიგნებით ვაჭრობა, თუ არ მასწავლებელთა კრებულს, მასწავლებელთა საზოგადოებას. დღეს წიგნებით ვაჭრობა (რუსული) ისეთ პირთა ხელში ჩავარდნილი, რომელთაც ბევრი არა გაეგებათ-რა წიგნებისა, რომელნიც ხვალავე გაალებდნენ ძველის ტანისამოსის მაღაზიას, რომ ერთობ დიდი მოგება არ იკავებდეს მათ ამ ალაგზედ.

მასწავლებელთა ამხანაგობის ხელში რუსულ-ქართული წიგნის მაღაზია კარგადაც იმუშავებდა და ის დიდი მოგებაც, რომელიც წიგნის ვაჭრობას მოსდევს, მასწავლებლების ხელთ დარჩებოდა.

ძალიან დაავალებდნენ ქართველს საზოგადოებას და თავისის თავისთვისაც სახეირო საქმეს მოაწყობდნენ ტფილისის ქართველნი მასწავლებელნი, რომ ამ საქმის მოთავეობას და გაძღოლას თავს იდებდნენ, რომ შეიყრებოდნენ, შეიმუშავებდნენ წესდებას და გამოაცხადებნენ. მაშინ ჩვენნი პროვინციის მასწავლებელნიც მხარს მისცემდნენ და საქმე, ძნელი ერთის კაცისათვის, საერთოდ ადვილად გაკეთდებოდა; ხოლო სარგებლობა ზნეობრივი თუ ნივთიერი ადვილად წარმოსადგენია ყველასათვის....

⁂ **დოღი.** 27 აპრილს, დიდუბეში, დოღი გაიმართა, რომელზედაც, სხვათა შორის პირველი ჯილდო ხვდა თავ. ნ. პ. მხეიძის ცხენს, სახელად «ლანდშაფტ“-ს საჩუქრებს ბ. კავკასის მთავარ-მართებელის თანაშემწე არიგებდა. თუმცა ცუდი ამინდი იყო, მაგრამ ხალხი მაინც დიდ-ძალი დაესწრო დოღს.

⁂ **მდ. მტკვრის ამატება.** წვიმების გამო მტკვარი შესამჩნევად მატულობს, მაგ. კვირას, 27 აპრილს, კიდევ იმატა ნახევარ საჟენზე მეტი.

⁂ **სასტუმროს დაკეტვა.** ბ. ტფილისის გუბერნატორს განკარგულება მოუხდენია, რომ სასტუმრო „იაფი ნომრები“ დაუყოვნებლივ დაკეტილ იქმნას დროებით, რადგან იქ ამ ბოლოს დროს გახშირდა სახადით ავადმყოფობა.

⁂ **ყარსის რკინის გზის გამო.** ჯერ-ჯერობით გზის ლიანდაგი ქ. ტფილისიდამ 42 ვერსის მანძილზე მზად და მუშა მატარებლები მდ. ხრამის ხიდამდე დადიან. ჯაჯურის ტონელზე ორივე მხრით გაცხარებული მუშაობაა და გასათხრელი სულ 150 საჟენამდე-ღა დარჩენილა.

⁂ **სომეხთა კათოლიკოზის ტფილისში ჩამოსვლის გამო.** გაზ. „არძაგანქს“ შეუტყვია, რომ სომეხთა კათოლიკოზს გადაუდვია ტფილისში ჩამოსვლა და დრო არ არის ჯერ დანიშნული.

⁂ **დახურულ ბაზრის ვაჭართა თავგასულობა.** აი ერთი მაგალითი იმისი, თუ რავდენად თავგასულები და ზრდილობას მოკლებულნი არიან დახურულ ბაზრის ზოგიერთი ვაჭრები. აღდგომის პირველ კვირაში, პარასკევ დღეს, ორ მანდილოსანს მოუხდათ იქ ჩასვლა სავაჭროდ. ერთი მეორეს ჩამორჩა უკან და პირველმა მანდილოსანმა დაუძახა ჩამორჩენილს: გამოიარეო. დუქნის წინ მდგომმა ვაჭარმაც გაიმეორა იგივე სახელი ქალისა უზრდელის კილოთი და დაუძახა—გამოიარეო, თითქო მისი ბიძაშვილი, ან დიდიხნის ნაცნობი მუშტარი ყოფილიყოს. მეორე მედუქნემ კიდევ მიიწვია მანდილოსნები თავის დუქანში სავაჭროდ და ერთ მათგანს, რამდენჯერმე მხარზე ხელი დაჰკრა, აბა რას ივაჭრებთო. როდესაც ქალმა ჰკითხა მაგას რას შვრები, რა ბრიყვულად იქცევიო, ვაჭარმა უპასუხა—არაფერსაო. როგორ თუ არაფერს, შენ რა უფლება გაქვს, რომ მე მხარზე ხელი დამკარიო; ვაჭარმა გაიცინა და უპასუხა, არა უჭირს-რა, ჩვენ მთიულ ქალებზედ ვართ ხელის დარტყმას დაჩვეულიო. ამ სიტყვებზედ მანდილოსანს უნდოდა ეჭმია ერთი კარგი სილა, მაგრამ ამჯობინა პოლიციელის მოხმობა, რომელიც, სამწუხაროდ, იქ ახლო-მახლო არსად მდგარიყო.

ამ ნაირი შემთხვევები იქ მუდამ დღე მრავალია. თქვენ უნდა ნახოთ როგორ აწვალებენ ხოლმე სოფლიდამ ჩამოსულს კაცს თუ ქალს, თუ შეატყვეს რომ ხამიც არის. დაიჭერენ გლეხკაცს და აქეთ-იქით ეწევიან: ჩემთან მოდი, ბიჭო, ცოლისთვის იყიდე რამეო. არც ერთს არ გაჰყვება, რადგან ვაჭრობისა არა სცხელა, ამოუსმენ უკდეს, ჩააფარებენ თავში და გაისტუმრებენ, მერე მიუბრუნდებიან ერთმანეთს და ეუბნებიან: აბა რა ჰქენი, საწყალი კაცი რაზედ «გამიაბიდეო».

დროა ამისთანა უზნეო საქციელს ბოლო მოეღოს და აილაგმოს.

⁂ **უწვიმობა გვაშინებს.** დღეს ცხინვალიდამ ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ ჩვენსკენ კარგი დარები და მშრალიანობა არისო. აქ, თურმე, მუდამ დღე კოკისპირული წვიმა მოდის და ჩვენ-კი იქ ნამიც გვენატრებაო. ახლავე თუ წვიმებმა ხელი არ შეგვიწყო, ქინახულის მოცდენისა დიდი შიში გვაქვსო. თავათ შარშან დავიღუპეთო და წელსაც სული კბილით გვიჭირავსო.

⁂ **ერთი უმართებულო პოლემიკის გამო.** ბ-ნო რედაქტორო! იმედი მაქვს, ამ ჩემს მცირე წერილს მისცემთ ადგილს თქვენს პატივცემულს გაზეთ ,,ცნობის ფურცელში“.

მე ერთი უსწავლელი კაცი ვარ, მაგრამ დიდის გაფაციცებით ვადევნებ თვალ-ყურს ჩვენს ჟურნალ-გაზეთობას და ფრიად საინტერესოდ მიმაჩნია მისი ავ-კარგიანობა და წინსვლა. საუბედურო, ამ ბოლოს დროს ისეთი უმართებულო კილო გამეფდა ჩვენს ლიტერატურაში, ისე უდიერად იხსენებენ ერთმანერთს მოკამათენი, რომ თუ ასე გაგრძელდ
სწორედ მოგახსენოთ, უკუღმართი
ბის მეტი არა გამოვა-რა.

არ შემიძლიან დიდის მწუხარებ
და გულის ტკენით არ აღვნიშნ
ერთი გარემოება, რომელსაც, ჩემ
აზრით, ადგილი არ უნდა ჰქონ
ჩვენს მწერლობაში. მე მოგახსენებ
ბ. გ. წერეთლისა და ბ. ი. გოგებ
შვილის პოლემიკაზე, რომელიც, ს
არა იყოს-რა, არ შეშვენის არც იმა
სახელს და არცა იმათ სიდარბა
ლეს. შეიძლება ბ. გოგებაშვილს
ბ. წერეთელს რაიმე პირადი ან
რიში ალაპარაკებდეთ ასე გამწარ
ბულად, ხოლო ჩვენ რად გაგვხად
ამისთანა ახირებული კამათობის მ
წმედ. დავიჯერო, რომ ეს პატივც
მულნი პირნი ერთმანერთისათვ
სწერენ და არა საზოგადოებისათვ
ხოლო საზოგადოებამ რა დაუშ
ამ დალოცვილ, ...

მე არ გამოვუდგები—ვინ არ
მართალი და ვინ არის მტყუანი მ
შორის, ეგ მკითხველების საქმეა.
რა თქმა უნდა, თვით საზოგადო
დასდებს თავისს მსჯავრს, მაგრამ
პოლემიკაში ბ. გოგებაშვილმა, ს
ლაც მართალი რომ იყოს, ერთ
გარემოებაში, ჩემის აზრით, ძრ
დააშავა განსვენებულის ჩემის მ
მამიას შესახებ (იხ. ,,ივერია‘‘
70). მამის რაღაც წერილი მიუწ
რია ბ. გ. წერეთლისათვის,—ბ. გ
გებაშვილი-კი მამიას ნიჭს ეხება
თითქმის მისს ზნეობას „ამ თ
ხუთი წლის წინად—ბრძანებს გოგ
ბაშვილი—მამია გურიელს თხოვნ
ბარათი მიუწერია ბ. გ. წე—სათვ
(თხოვნის ბარათი და მამია გური
ლი!) და შიგ კომპლიმენტი მო
ცევია შესახებ მისი ესტეტიკური
მოსი. ამ კომპლიმენტს არავით
მნიშვნელობა არა აქვს მეტადრე
მოვიგონებთ, როს მაშინ ბ-ნი წე

სახალხო წიგნების გამოცემის გამო.

„ცნობის ფურცელმა“ მიძღვნა ვრცელი სტატია თავისს ფურცლებზე. გაზეთი ცდილობს (თუმცა ამაოდ) დაარწმუნოს მკითხველი, რომ ჩემი გამოცემანი ხალხისათვის გამოუსადეგარია, სახალხო არ არის და აკი ამიტომ ლპებაო თაროებზე და სხვ. როდესაც ჩვენ ხელი მივჰკიდეთ ქართულის წიგნების გამოცემას, გამოვაცხადეთ შემდეგი: „ჩვენი მიზანია შევქმნათ ხეირიანი მწიგნობრობა, ანუ წიგნები... ჩვენი მიზანია შევქმნათ ისეთი მწიგნობრობა და წიგნები, რომლებშიაც ქართველი მკითხველი ჰპოვებდეს იდეალებს თვისის სიცოცხლისას, მეცნიერულს საფუძვლებს თავისს ამ ქვეყნად ცხოვრება-მოქმედებისას... ჩვენი მიზანია მივაჩვიოთ ქართველი მკითხველი ქართულის წიგნის კითხვას იმ აზრით, რომ სრულ ვყოთ მით (წიგნით) ჩვენი შეხედულებანი ქვეყანაზე და ცხოვრებაზე, სრულ ვყოთ თვით ჩვენი ცხოვრება“ და სხვ... (იხ. ჩვენი განცხადება 1895 წ. მეხუთე წიგნის ბოლოში),

როგორც ვხედავ, სულ სხვა-და-სხვა გვარად გვესმის მე და შენიშვნების ავტორს ცხოვრება და ხალხი. შენიშვნების ავტორსა ჰგონია, რომ მხოლოდ ის წიგნია კარგი, რომელიც მეტი საღდება, მეტი იყიდება, რომლის წაკითხვას უფრო ეტანება ხალხი, როგორც, მაგალითად, კარგი და სანუკვარია ღვინო, არაყი, თამბაქო და მისთანები, რომლებსაც ასე განუსჯელად და თავ-შეუკავებლად ეტრფის ხალხის უმრავლესობა... სულ სხვა გვარად მესმის მე იგივე ცხოვრება და ხალხი, იგივე სამსახური ხალხისა. ის წიგნები-კი არ უნდა გამოვცე, რომლებიც უფრო გასაღდება ხალხში, არა,—ამას მეორე ხარისხოვანი ადგილი უჭირავს ჩვენს გეგმაში,—არამედ უნდა გამოვცე ისეთი წიგნები, რომლებიც მისცემენ ხალხს ნამდვილს ცოდნას, ნამდვილს შეხედულობას ცხოვრებაზე და ბუნებაზე. მართალია, ასეთი წიგნები ათასობით არ გაიყიდება წელიწადში, მაგრამ ეს მაინც ვერ მოგვაშლევინებს ჩვენ ამგვარი წიგნების გამოცემას, რადგანაც აქ ჩვენ ვემსახურებით ხეირიანი მწიგნობრობის შექმნას ხალხის იმ ნაწილისათვის, რომელიც ეძებს ამგვარ წიგნებს, თუნდაც სულ ათი და ოცი პირისაგან შესდგებოდეს ეს ნაწილი ხალხისა. ეს ერთი. მეორე.—მთავარი ნასკვი ავტორისმიერ ქადაგებული მწერლობისა არის ზერე-ქვერული ვნების აღძვრა ხალხში სუბუქი ნაწერების კითხვით გონების ცოდნით განფართოების და განვითარების გარეთ. ასეთი მწერლობა მე მიმაჩნია დაბალ მწერლობად, უღირსად ნამდვილი მწერლობისა, მავნებლად, დამღუპავ კარ-ჩაკეტილობის სახსრად, ხალხის ჭკვა-გონების ფართოდ და დამოუკიდებლად განსხივების ბრაგად (მდინარის სიღრმიდამ ამოსულ კლდედ).. შენიშვნის ავტორი მიმდევარია მხოლოდ თვით კითხვის პროცესისა, მე-კი ვარ, ვიქნები მხოლოდ დიდებული ბოკლის იმ მოძღვრების მიმდევარი და თაყვანის-მცემელი, რომ გონებითი განვითარების გარეთ, რომელიც მხოლოდ ცოდნის შეძენით, ცოდნის ჩხრეკა-ძიებით მოიპოვება, ხალხს, კაცობრიობას ხსნა არა აქვს, რაც უნდა უმაღლესი ვნებანი სიყვარულისა, ჭეშმარიტებისა და მისთანებისა ჩაუნერგოთ მას, რადგანაც ყოველი ეს იქნება ქვიშაზე აგებული სახლი. საკვირველ უკუღმართ დროს ვცხოვრებთ ჩვენ: შენიშვნა „ცნობის ფურცლის“ ავტორისა პირველი არ არის; წინადაც გადაუკრავთ ჩემთვის ამგვარი შენიშვნა, მაგრამ მრწამს და მიწამია, რომ აჭია-ბაჭიაობის ხანა შესანიშნავის სისწრაფით უკანა გვრჩება და დღეს თუ ხვალ ნამდვილმა ფაქტორებმა უნდა დაიჭირონ მთავარი ადგილი ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენც მისკენ მივისწრაფით და ადრე თუ გვიან ხელსაც მივცემთ ერთმანეთს, ისე ახლოა ეს დრო.

მესამე.—სულ სხვა-და-სხვა გვარად გვესმის ბ. შენიშვნის ავტორსა და მე „ხალხი“. „ხალხად“ მას იგი მიაჩნია, რომელმაც წერა-კითხვა არ იცის და თუ იცის, ისე მცირედ, რომ მხოლოდ ზერე-ქვერულად დაწერილი წიგნაკები შეუძლიან წაიკითხოს. არა, ბატონო! ამათთვის წიგნი სრულიად საჭირო არ არის: ამათთვის საჭიროა სკოლები, საჭიროა წერა-კითხვის და სხვა მეცნიერებათა დარგთა პირველ დაწყებითი შესწავლა და ამიტომ მისდიეთ მას მედგრად და გადუხვევლად, ეს უკეთესი საშუალებაა მათის საწიგნოდ მოსამზადებლად, თორემ წიგნის უცოდინარს რა წიგნი უნდა დაუწეროთ ისეთი, რომ მან იგი გამოიყენოს.. წიგნის დანიშნულება უფრო მაღალი და ფართოა: სრულის სავსებით იგი მხოლოდ პირველ დაწყებით სწავლაში გავლილს გამოადგება, ან შეიძლება გამოიყენოს.

—

„ვერ მოიკიდა ფეხი, სულ ნახტომი ეშლება ამ სარბიელზე, დიდად პატივცემულმა ივანე როსტომაშვილმაო. თავის დევიზად გამომცემლობაში მან აღიარა ხალხის სამსახური: „ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“-ო და ხალხის სამსახურის ნაცვლად ინტელიგენციას დაუწყო მსახურობაო“ („ცნ. ფურ.“ № 174).

არა, ბატონო! მე არც ნახტომი მეშლება და არც ხალხისათვის ამიქცევია გზა. ამას ამტკიცებს უმეტესი ნაწილი ჩემ გამოცემათა და მათ შორის ისეთი წიგნებისაც, როგორც არის ბოკლის „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში“, „შრომა და სიმდიდრე“, „სწავლა-განათლება და მისი სტორია“ და სხვ. აქ შეუთანხმლობა მხოლოდ იმაშია, რო
თქვენ ეს წიგნები სახალხოდ ა
მიგაჩნიათ, მე-კი, პირიქით, სწორე
და მხოლოდ ასეთი წიგნები მიმაჩნ
სახალხოდ და რომ თვით ხალხსა
ასე მიუღია ჩემ-მიერ გამოცემულ
წიგნები, სჩანს ზოგიერთა მათგანი
წერილებიდამ ჩემ-დამი. ბოკლის გა
მოსვლის შემდეგ, ერთი მათგანი მწ
რდა: „ბოკლი წავიკითხე. ამისთან
ჯერ არაფერი წამიკითხავს, ღმერთი
ჩვენც გვაღირსე ჩვენი ბოკლი, რო
საქართველოს ცივილიზაციის ისტო
რია დაგვიწეროსო!“ მეორემ მ
თხრა: „ბოკლი წავიკითხე დ
სულ სხვა კაცი გავხდიო; მთლა
გადამახალისაო!“.

მოგეხსენებათ, რომ მე სხვათა შო
რის გამოვეცი ერთი წიგნი, რომელ
საც ეწოდება: „დროა გონს მოვე
დეთ!“—მე არ ვიცი რიცხვი ამ წიგ
ნის წყალობით დახსნილთა ღვინო
არაყის უზომოდ თუ ზომიერად ხმ
რებისაგან, მაგრამ არ შემიძლიან ა
მოვიყვანო აქ ერთი წერილი, რო
მელიც მე ამ წიგნის გამოსვლის შე
დეგ მივიღე ვინმე ქუთაისში მცხოვ
რებლისაგან №№. ეს წერილი აქა
მომდე შენახული მაქვს და სიტყვა
სიტყვით ვწერ იქიდამ: „ვბედავ მცი
რესა ამას წერილსა, გაუცნობელო
მეგობარო ივანე პავლეს-ძე, პირვე
ლად გამოუთქმელ მადლობას, გუ
რავ იმ წიგნის გამოცემაზე, რომელ
მაც იქონია ჩემზედ დიდი გავლენ
აგრეთვე შთაბეჭდილობა სახელდობრ

თელი, ვგონებ, რედაქტორი იყო და რედაქტორებს, როგორც მოგეხსენებათ, ნაკლები ნიჭის მწერალნი ხშირად კომპლიმენტებს ეუბნებიან, რათა ამათაც ქებით მოიხსენიონ მათი ნაწერები. კრილოვისა არ იყოს, გუგული აქებს მამალსა, რათა მამალმაც აქოს იგი თავის საზრძანებელში."

პირ-ფერობა რაიმე სარგებლობისათვის შეიძლება მარტო ჯაბანისათვის არ იყოს ზნეობის წინააღმდეგი (რასაკვირველია, ეგ ბ-ნ გოგებაშვილსაც კარგად მოეხსენება). მე იმდენად გაუგებარი კაცი არა ვარ, რომ ვისმე მოვსთხოვო ჩემი ძმა აქონ, ან აგინონ, ვინც გაარჩევს მის თხზულებას ნება, აქვს, როგორი აზრიც უნდა ისეთი წარმოსთქვას, არც მე და არც არავინ ჭკუათა-მყოფელი ადამიანი იმის წინააღმდეგი არ იქნება. ხოლო ბ. გ. წერეთლის გამოსაჯავრებლად განსვენებულის მამიას გაკილვა და ხელის წამოკვრა, არ არის ზრდილობა და ლიტერატურული სიფაქიზე. ავად იყო თუ კარგად. მამია გურიელი თავის ნაწარმოებს წრფელის გულით აწვდიდა საზოგადოებას და არც არავისგან ქება მოუთხოვია, არც დიდება, არც [illegible]ები და არც არავითარი ჯილდო. თვით ბ. გოგებაშვილი თავის „ბუნების კარში" სტამბავდა მამიას ლექსებს, რატომ ნეტავი? და რა წერილს წარმოგვიდგენს მამიასგან მიწერილის, რომელშიაც იგი სთხოვდეს: ეს და ეს ლექსი შენს ,,ბუნების კარში' დამიბეჭდეო... რიგი არ არის კამათობაში სრულებით უდანაშაულო პირს გადასწვდეს ვინმე და ისიც განსვენებულს, რომელსაც პასუხის [illegible]ნა არ შეუძლიან...

[illegible]ვარ, რომ მკითხველ საზოგადოებას ჩემი ერთი კაცისადმი საყვედურით თავი მოვაწყინე, მაგრამ ,,ურემს რომ მეტ ტვირთს დაადებენ კრიჭინს დაიწყებსო'', იტყვიან და მეც ისე დამემართა.

თავ. ჯამბაკურ გურიელი.

⁂ **ქ. სოხუმი. ქალაქის დეპუტატების მომავალი არჩევანები.** ამას წინად „ცნობის ფურცელში" მოხსენებული იყო, რომ შარშან ამორჩეული ხმოსნები სოხუმის მომავალ თვით-მმართველობისა მანამდე არ დამტკიცდებიან მთავრობის მიერ, სანამ არ გადასწყდება კითხვა: ეგრედ წოდებულის სანიტარულ ადგილების პატრონები სოხუმის მოქალაქეებად უნდა ჩაითვალონ თუ არაო? ახლა ქუთაისის გუბერნატორისაგან ადგილობრივს ადმინისტრაციას ბრძანება მოუვიდა, სანამ ხმოსნების სია დამტკიცდებოდეს, ახალი დეპუტატები აირჩიეთ და ძველებურის წესით აწარმოვეთ ქალაქის საქმეებიო. პოლიცია, საცაა დაურიგებს აქაურს მკვიდრთ უწყებებს ამ საგნის შესახებ და სოხუმლებიც ახალის დეპუტატების არჩევანებს შეუდგებიან. ჩვენ იმედი გვაქვს, სოხუმლები, რომელთაც ამდენის ხნის მწარე გამოცდილებით სავსებით სწვნიეს მთელი სიავ-კარგე აწინდელის დეპუტატებისა, ამ პასუხ-საგებ თანამდებობაზე ღირსეულ პირთ აირჩევენ და თავისის ქალაქის ინტერესებს ისეთს ხალხს ჩაუგდებენ ხელში, რომელთაც მათთვის გული შესტკივათ. ამასთანავე საჭიროა, სოხუმლები მარტო ახალის დეპუტატების არჩევნებს არ დასჯერდნენ; იმათ უნდა იმეცადინონ უმაღლესს მთავრობასთან არჩეულ ხმოსნების დამტკიცებისა და უმაღლესად ბოძებულის თვით-მმართველობის შემოღებისათვის, თორემ, სხვა არა იყოს-რა, სირცხვილია, რომ ისეთი პატარა ქალაქები, როგორებიც არიან: ოზურგეთი, თელავი, სიღნაღი და, ასე გასინჯეთ, დუშეთიც-კი, თვით-მმართველობის ნაყოფითა სტკბებოდნენ და სოხუმში-კი ისევ მამათ-მთავრული წესები იყოს მართვა-გამგეობისა...

⁂ **დაბა ოჩამჩირე** (აფხაზეთი) **წყალ-დიდობისა და ცეცხლისაგან ზარალი.** 15 აპრილს მოსულ წვიმებისაგან მდ. ღალიძგა საშინლად ადიდდა, ხიდს ახლო გაკეთებული წისქვილი აქაურის მემამულის სპირიდონ ნარაკიძესი მოიტაცა, ხიდს დააჯახა და დალეწა. წისქვილის პატრონს 1,500 მანათის მეტი ზარალი მოუვიდა. იმავ დროს იმავე სპირიდონ ნორაკიძეს სოფ. გინძეეწერში დაეწვა საზღვარ-გარეთ გასაგზავნად დამზადებული ფიცრები 1,500 მანათისა. ფიცრები პატრონს დაზღვეული არა ჰქონია არსად.

⁂ **ლანჩხუთი.** (ოზურ. მაზრა.) ყველას მოეხსენება, რომ თუ სამკითხველოში კითხვის დროს წესიერება არ არის დაცული, იმ შემთხვევაში მკითხველები წაკითხულიდგან ვერას გაიგებენ. თვითოეულმა გარეშე გინდ ადგილობრივმა კაცმა უნდა იცოდეს, სამკითხველო იმისთვის კი არ არის აგებული, ვისაც უნდა შევიდეს შიგ, იბაასოს და ილაპარაკოს ხმა-მაღლა.

დიდ ორშაბათს ლანჩხუთის სამკითხველოში შევედი, მივუჯექი მაგიდას, რომელსაც უსხდნენ გარშემო რამდენიმე მკითხველები და რომელზედაც ეწყო ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები. ავიღე ერთი გაზეთი და დავიწყე ჩუმათ კითხვა. სიჩუმეა. არ გასულა ხუთი წამი, რომ ეს მყუდროება და სიჩუმე დაარღვია ორის ახალ-შემოსტუმრებულის ხმა-მაღლა საუბარმა. ყველანი ვგრძნობდით ამ მხრით ნაკლულოვანებას, მაგრამ ვინ იყო შემნიშვნელი!.. ბოლოს მოწამლაც და მოშხამვაც მოინდომეს ჩვენი ნერვებისა მით, რომ ამოიღეს თამბაქო და დაიწყეს აბოლება. ეს პატარა და ვიწრო სამკითხველო გაივსო ბოლით ასე, რომ სუნთქვაც გაჭირდა, მით უფრო, რომ მკეთხველები ათამდე მაინც ვიყავით. ბიბლიოთეკარმა შენიშნა მათ, რომ შეეხედნათ განცხადებაზე, რომელზედაც, რათქმა უნდა, «ვოსპრეშჩაეტსია» ეწერა. მაგრამ იმათ ასე უპასუხეს: „მაგისთანა ქაღალდისთვინ სასამართლოში არ მიმიქცევია ყურადღება და არავის გამოუგდივარ იქიდგან და აქ როგორ-თუ მიშლითო". რაღა მექნა; ავდექი, გამოვედი კარში დაბრუნებული და დამთვრალი, თამბაქოს ბოლით. ვიცოდი, რომ უკანონოთ მოიმოქმედეს ამ ბატონებმა, მაგრამ რას ვიზამდი!..

ბ. კალანდაძე.

⁂ **ქ. ბათომი. ბურთაობა.** 20 აპრილს გაიმართა ბათუმში ბურთაობა. ერთის მხრით მეგრელები და ხონელები და მეორეს მხრით გურულები და იმერლები. მეგრელები და ხონელები შედარებით ცოტანი იყვნენ გურულებზე, რადგანაც იმათ მთელი ბათომის იმერლები და რაჭველები ეხმარებოდა. ბურთი გავარდა დანიშნულ ადგილზე, კახაბერში; ხონელებს და მეგრელებს მიჰქონდათ დასავლეთისკენ, გურულებს და დანარჩენებს აღმოსავლეთისკენ. გურულებმა სძლიეს სიმრავლით, რადგანაც ოთხი-ხუთი წილი მეტი იყვნენ მოთამაშეები მეგრელებზე და ხონელებზე, იმ დღეს ხონელები და მეგრელები მუშაობაში დარჩნენ, მაგრამ მაინც მეგრელებმა და ხონელებმა რამდენსამე მანძილზე წაიღეს, თითქმის ცოტა უკლდა ლელოს, მაგრამ დაიღალნენ და გამომცვლელი არავინ ჰყავდათ, ველარ შესძლეს თამაშობა და ბურთი წავიდა. გურულების მხრით შეკრულათ მიჰქონდათ შეჯგუფულ ხალხს, თუმცა ოცამდის მეტ ხონელებს ეკავათ ბურთი ხელში, მაგრამ სიმრავლით ბურთიან კაციანათ ზეზე წაიღეს. ბოლოს ილაჯ-გამოლეულს მეგრელებს და ხონელებს ძალა აღარ შესწევდათ დაბრუნებაზე და ბურთი გასჭრეს ორად, ნახევარ-ნახევარი ტყავი შერჩათ გურულებს და ხონელებს, ხოლო ლელოზე მოტანამდის არ შერჩენიათ ხელში გურულებს თავიანთი ნახევარი. მე მიკვირს, როგორც დამსწრეს, რომ მთელი ხალხი გურულების მხრით ყველა მოთამაშე იყო და ცოტა მოწინააღმდეგებისაგან ბურთი ხელიდან გამოეცალათ და ლელომდის ვეღარ მოიტანეს მთელად, მაგრამ ,ხალხის სიტყვით, ძლევა მაინც გურულებს დარჩათ. ეს შეიტყვეს დანარჩენმა მეგრელებმა და ხონელებმა და ხელ-მეორეთ გამოითხოვეს გურულები მოედანზე სათამაშოდ. ოთხშაბათს, გიორგობა დღეს, რადგანაც აღდგომებზე არ უთამაშნიათ და ახალ კვირასაც ვერ დაესწრნენ თამაშობას, წავიდნენ მოედანზე მეგრელები და ხონელები, მაგრამ გურულებმა თამაშობა ვეღარ გაბედეს, რადგანაც მაშინ თავის იმედი აღარ ჰქონდათ თამაშობაში, და ამ სიტყვით იმართლებდნენ თავს, ვითომც თქვენ ბევრნი ხართო. მაშინ ხონელმა უთხრა: კარგი, თუ ჩვენ ბევრნი ვართ, რამდენიც თქვენ ხართ იმდენს ჩვენგანს გამოუშვებთ და ითამაშეთო, მაგრამ გურულებმა მაინც აღარ ჰქმნეს, რადგანაც მარტო ხონელთან სათითაოთ ვერავინ ბედავს თამაშობას და მიტომ ბურთაობა, როგორც ამბობენ, გადაიდო საამაღლებოთ და ვნახოთ რა იქმნება და ვის დარჩება გამარჯვება. მე, როგორც გარეშე პირს, ჩემს დღეში არ მითამაშნია ბურთი, მაგრამ ისე გამიტაცა სურ-

[illegible]თა გონს მოვიდეთ ღვინისა და [illegible]აყეულის წინააღმდეგ" ჩემი შინა[illegible]სი უნდა გაცნობოთ შემოკლებით;

პირველად, როდესაც ვიყავი სასწავლებელშიდ, არავითარ მათრობელა სასმელებს არა ვსვამდი, პირიქით ვაძაგებდი იმისთანა ხალხს, რომელიც იხრჩობოდნენ შიდ მხოლოდ საუბედუროდ ჩემდა, როდესაც შევასრულე ოთხი კლასი, ჩემის სიღარიბის მიზეზით მე არ შემეძლო გამეგრძელებია სწავლა და შევედი ცხოვრებაშიდ, აი რა შედეგი მოახდინა ჩემმა ცხოვრებაში შესვლამ. შევედი პირველადვე მწერლად, სამი თვე იმ ზომაზე ვიყავი რაც კლასში ესე იგი არავითარ მათრობელა სასმელებს არ ვკარობდი, მაგრამ საუბედუროთ ჩემდა, როდესაც უყურებდი ჩემს ამხანაგებს მუდამ დღეს მოქეიფარეს, რაღაც მეც ჯავრი მომდიოდა ცოტა არ იყოს ქეც მეხარბებოდა, ძალითაც მიტაცებდნენ ამხანაგები დუქნებში, მხოლოდ ღვინის სმას ვერ შემაჩვიეს თუმცა-ღა ძლიერ მონდომილი იყვნენ. რამდენი თვე გაიარა, რომ მე კარგ ხასიათზე ვიყავი, ესე იგი, უზომოდ არ ვსვამდი, მაგრამ ჩემმა სუსტმა ხასიათმა დიდხანს ვერ გაატანა რომ თავდაჭერილობით ვყოფილიყავი. 1887 წ. შევასრულე სკოლა, 1888 წლიდან შევედი მწერლათ. აი აქედანვე დავიწყე ღვინის სიყვარული. ბოლოს და ბოლოს ისე შემაყვარეს ღვინო, რომ თუმცა ღვინით არ დავმთვრალიყავი, ის დღე მე დღეთ არ მიმაჩნდა, ეხლა ვაძაგებდი იმისთანა ხალხს, რომელნიც ღვინოს არ სვამდნენ. დიდ უბედურებაში ჩამაგდო ღვინის სმამ. უნდა გამოვტყდე, როგორც ახალგაზდა კაცი: თუმცა-ღა ჩემი მოკეთეები აგრეთვე ახლობელნი მეზობლები მარიგებდნენ შესახებ ლოთობაზედ, მაგრამ მე სრულებითაც იმათი დარიგება თავში არ მიმდიოდა. მეცხრე წელიწადია, რაც მე ღვინოს უზომოდ ვხმარულობდი, ხანდისხან დავფიქრდებოდი და ჩემს გულს ეგრე ვეტყოდი: თუმცა-ღა ღვინის სმა მავნებელი იყვეს რისთვის არ დაწერეს ამაზედ განათლებულებმა და აგრეთვე ექიმები რისთვის არ არიგებენ ხალხს, მაგრამ მავნებლობა არ უნდა იყოსთქო. ერთხელ ძრიელ ნამთვრალევი მივედი დოქტორთან და მან მითხრა ხინა და სლაბიტელი დალიე და უკეთ შეიქნებიო. იმ დალუპულმა, ერთი არ მითხრა სიმთვრალით ხარ და გაგიფუჭდება შიგნეულობაო, თუმც ხელს არ აიღებ მაგ შხამისაგანაო. ერთი სიტყვით, ვიყავი დაკარგული ამ უბედურ ხაშმისაგან. ეხლა თქვენის წყალობით სწორედ ვარ გონს მოსული. თქვენ მიერ გამოცემული წიგნი ჩავიგდე ხელში ჩემი მეზობლის ყმაწვილიდგან რომელსაც ჰქონია გამოწერილი. როდესაც წავიკითხე, სუყოველივე, რაც მანდ სწერია, ის მაგალითები გადამხდენია ჩემს თავზედ. ამიერიდგან დავსდევი სიტყვა არავითარი მათრობელა ღვინო და არაყი სასმელები არ ჩავიკარო. მთლად ხელი ავიღე სმისაგან, ჩაის უწყე მეგობრობა. ძრიელ გამიჭირდა, უნდა გამოვტყდე, ორ კვირას მთლად ღვინოს თავის დანებება, როდესაც სურვილი მომივიდოდა, იმ წამსვე წიგნს ავიღებდი და წავიკითხავდი. ეხლა არამც თუ სურვილი მაქვს დალევისა, არამედ ფიცავარ სვინიდისს შეხედვაც მეზარება. დაუფასებელ მადლობას გიძღვნი ჩემი სიკვდილისაგან გადარჩენისათვის.. დავშთები თქვენი მორჩილი და დიდად მადლობელი №№. 12 აპრილს 1886 წ."

გეკითხებით,—ხალხს ეკუთვნის ამ წერილის ავტორი თუ არა? ასეთი და ამისთანა წიგნებია ხალხისთვის საჭირო, თუ აჭია-ბაჭია წიგნები? თქვენი არ ვიცი და, მე კი ნამდვილ ხალხის წევრად მიმაჩნია და ამგვარი წიგნები ნამდვილ სახალხო წიგნებად!.. მგონია შემცდარი ბრძანდებით თვით (ჩემი) წიგნების გავრცელებაზედაც ხალხში: ხომ სულ ერთწელიწად-ნახევარია, რაც წიგნების გამოცემა დავიწყე და იმ წიგნებიდამ, რომლებიც მე პირველად გამოვეცი, ე. ი. 1895 წ. ღვინობისთვიდამ, ას-ასი ცალი აღარც-კია დარჩომილი, ისეთი წიგნებიც-კი, როგორებიც არის—„საბოსტნე მცენარენი", „შინაური საქონლისათვის საკვები ბალახების თესვა-მოყვანა", ხოლო წარსული 1896 წ. გამოცემანი თითო სამას-სამას ცალზე მეტი არ მექნება და რაც შეეხება ბოკლს, დარვინიზმს, რომლების გამოცემა ჯერ 8—10 თვეც არ არის, ორას-ორასი რომ მქონდეს გაუყიდავი, მეტი არ მექნება.

—

ჩემმა „ივერია"-ში (№ 74) დასტამბულმა წერილმა გაფიქრებინათ, ვითომც მე ვფიქრობდე, რომ „ახალი მკითხველი"-დან არა გამოვარაო და ამიტომ გაზეთ „ივერიის" ფურცლებზედ დღეს სულ სხვა აზრს აცხადებსო, აზრს, რომელსაც „ახალ მკითხველთან" საერთო არა აქვს-რა"-ო.

ტყუილად გიფიქრიათ მაგრე, ბატონო! «ახალი მკითხველის» სახელით მონათლული წიგნების გამოცემა ჩემი ნახტომის შეშლა-კი არ არის, პირიქით, საქმის განმტკიცება-გაუკეთესებაა. ნახტომის შეშლა მაშინ იქმნებოდა, როცა მე სრულიად თავს მივანებებდი წიგნების გამოცემას და სულ სხვა რამე საქმეს ავყვებოდი. მე ასე არ მოვქცეულვარ: საქმე უფრო განვამტკიცე, საქმეს კერძო ხასიათის მაგიერ საზოგადო მიმართულება მივეცი, ხელნაწერების რედაქცია მთელს განსაკუთრებულს ორგანოს დაუქვემდებარე და სხვ. „ახალ მკითხველს" აქვს გარკვეული პროგრამმა, რომელსაც დღესაც იკვლევს და შეავსებს, ეს პროგრამა არის გამოცემა სამეცნიერო წიგნებისა და სხვ. მე რომ «ივერიაში» ხელნაწერები გამოვაცხადე გამოსაცემად, ისინი „ახალი მკითხველის» პროგრამის გარედ არიან, მის განსაზღვრულს აზრს და საშუალებას არ უდგება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისეთი წიგნები, როგორც «ჩვენ ქალებს", (აქ სიტყვას „ჩვენ" ვხმარობთ ასე, მდაბიურად ლაპარაკის მიხედვით, როგორც, მაგალითად, ვიტყვით: „ეს წიგნი ავტორმა უძღვნა ჩვენ ქალებს» «ჩვენს ქალებს" მაგივრად, «ჩვენ მამებს"— ,,ჩვენს მამებს'' მაგივრად და სხვ.) ,,სიმრთელის დაცვა'', ,,ალექსანდრე მაკედონელი'', „ისტორია ეგვიპტისა, ინდოეთისა, სპარსეთისა», ,,ორი მეგობარი'', „ოსმალელები'', ,,ნუკრის ამბავი'', ,,თინიას გიშერა» და სხვ. მისთანები აღარ უნდა გამოიცეს და თუ გამოსცემთ, ამას არაფერი საერთო არ ექნება „ახალ მკითხველთან"? შემცდარი ბრძანდებით, ბატონო! საჭიროა დაიხსომოთ, რომ «ახალ მკითხველს" აქვს თავისი აზრი, თავისი პროგრამმა და თავისი უწყებული შემოსავალი, რომლითაც გამოსცემს მხოლოდ სათავისო წიგნებს და დანარჩენების გამოცემაზედ ის ერთს კაპიკსაც ვერ დახარჯავს თავისი თანხიდგან. ან, სიმართლე ვსთქვათ, [illegible] წიგნს ხომ ვერ გამოსცემს „ახალი მკითხველი"? ბევრი, ბევრი თვეში ერთი წიგნი გამოსცეს, ამით ხომ არ დაილევა ქართული წიგნის გამოცემა საქართველოში. ამიტომ, რათ გაგ-

ვილმა, თამაშობა დავაპირე, მაგრამ, როგორც უჩვევმა, ველარ გავბედე და სურვილი დარჩა ისევ სურვილად; ხოლო ფრიად სასიამოვნო სანახავი და წარმტაცი-კი ყოფილა ბურთაობა· მე დიდად მიკვირს, იმდენი ხალხი თამაშობს, ამისთანა დიდი ინტერესი მოსდევს და გამარჯვება დიდი სასახელოა, მაგრამ ერთხელაც ჩხუბი არ მოსვლიათ და ყოველთვის მშვიდობიანათ ჩაუვლია თამაშობას; ეს იმას მიეწერება, რომ ბათომში ყველა მუშა ხალხი ერთი მეორეს ძმაკაცობას უწევს და ძმა-კაცებიც არიან და ეს თამაშობა-კი ჩვეულებად აქვთ ყოველ ნაალდგომევს ახალ კვირამდის და ვერც მოიშლიან. ხუთის წლის წინადაც დიდად მოინდომეს მაგრამ მაინც ვერ მოაშლევინეს ბურთაობა. ან რა მოსაშლელია ეს უმანკო და თან სასარგებლო შესაქცევი. აი საქმე ასე იყო და არა ისე, როგორც ამას წინედ „ცნობის ფურცელში“ იყო დაბეჭდილი.

დამსწრე.

⁂ **ქ. გორი. გამოძიების შედეგი თავ. ფავლენიშვილზე თავს დასხმისა.** მკითხველებმა უკვე იციან გაზ. ,,ცნობის ფურცლის‘‘ №159-გან ს. ქვემონიქოზში თავად ზაქარია ფავლენიშვილის სახლის გაძარცვა და სახლის პატრონის დაჭრა. ეხლა გამოძიებამ უფრო გამოააშკარავა ეს სისიბნელით მოცული ავაზაკობა და თითქმის სულყველანი, გარდა ერთისა, დაჭერილნი არიან გორის სამაზრო საპყრობილეში. და აი როგორ იყო დაწვრილებით ეს გულ-შემზარავი ავაზაკობა. თურმე, 3 კვირის წინად, ვიდრე ეს ამბავი მოხდებოდა, სოფელ დამპალეთის მცხოვრები ოსი ფარნაოზ ბაგაური ყოფილა სოფელ დოდოთის მცხოვრებ ციცო სანაკოშვილის ქელეხში, სადაც შეჰხვედრია სოფელ ქვასათალის მცხოვრებს პავლე ანდრიას-ძე გაგლოშვილს და ს. ყორნისას—სანდრო გიგოსძე ჯიოშვილს. ნაცნობები გაბმულან ლაპარაკში და ამ მასლაათში ფარნაოზ ბაგაურს მიუწვევნია იგინი ერთს საქმეში ჩასარევლად, რომელიც ორას თუმნამდის ხეირს მისცემდა ამათ და უჩვენებია კიდეც თავ. ზაქარია ფავლენიშვილის სახლი და აუხსნია კიდეც გეგმა თავს დასხმისა. მათ, რასაკვირველია, ჯერ ვერ დასჯდომიათ ჭკუაში ეს საქმე და უარი განუცხადებიათ და მათი ლაპარაკი და შეხვედრა ამით გათავებულა. 27 მარტს თვით ფარნაოზ ბაგაურის სახლში შეკრებილან შემდეგნი პირნი: ფარნაოზისავე სიძე ანდრო ძაგოშვილი, მისივე ძმისწული დათიკო ბაგაური, სოფელ დამპალეთის მცხოვრები სავა თედეშვილი და ზემოხსენებულნი პავლე გაგლოშვილი და სანდრო ჯიოშვილი, როგორც ეტყობათ იგინი მორიგებულან და განზრახულ საქმეს შესდგომიან. მასპინძელმა, ფარნაოზ ბაგაურმა მოართვა სტუმრებს და მეგობრებს შინაური ლუდი და კარგადაც შექეიფიანდნენ. კარგად რომ შეღამდა, გასწიეს სოფელ ქვემო ნიქოზისკენ. რასაკვირველია, როდესაც კარგად ღამე გასულიყო, მაშინ მისულიყვნენ თავ. ზაქარია ფავლენიშვილის სახლში. ჯერ გომურის კარი გადმოერაზათ, სადაც ეგულებოდათ ფავლენიშვილის მოსამსახურეები, და მცველად დაეყენებინათ პავლე გაგლოშვილი. მერმე ჯიოშვილი კიბესთან დაეყენებინათ მცველად და დანარჩენნი შესულიყვნენ ოთახებში, სადაც ეგულებოდათ თვით სახლის პატრონი და ოული. დანარჩენი მკითხველებმაც იციან, თუ რა უბედურებანი დაატრიალეს მათ სახლში და როგორ გა[illegible] როდესაც ხმაურობა ასტყდა, ც[illegible]ლა მცველებმა რამდენჯერმე გა[illegible]ლეს რევოლვერი, რაც იყო ნიშანი გაქცევისა. ავაზაკები გაეშურნენ სოფელ ტბეთისაკენ. ქვემო ნიქოზიდგან 3 ვერსტზედ არის ერთი ძველი დანგრეული ეკკლესია, სადაც ავაზაკებს გაეყოთ თავიანთი ნადავლ-ნაძარცვი· როგორც თვითონ ჯიოშვილმა აღიარა, მას წილად შეჰხვდა: ქალის ზევითა წამოსასხამი, ერთი ჩერქეზული ბატკნის ქუდი და ერთი პატარა რკინის ქილა, რომელიც სიჩქარისა გამო ავაზაკებს ვერცხლისა ჰგონებიათ. გასაყოფი დარჩენიათ ერთი ვერცხლის საათი, რომელიც გაუტანებიათ თედეშვილისთვის ქ. ტფილისში გასასყიდად, რადგან იმას იქ უფრო ვერავინ იცნობსო. თედეშვილი მისულა და უთქვამს ამხანაგებისათვის, რომ მას ქალაქში საათი წაართვეს, რადგან ზედ რაღაცა ასოები აღმოჩნდა და, რომ ხათაბალაში არ გავხვეულიყავი, შინისკენ გამოვწიეო.

მაგრამ პავლე გაგლოშვილმა სხვანაირად სთქვა: ჩვენ რომ მივუახლოვდით დანგრეულს ეკკლესიას, იქ დაგვხვდნენ ისონ ფავლენიშვილი და ორიც ოსი—გრიშკა ძაგოშვილი და ლექსო მედოშვილი, რომელნიც გველოდებოდნენო და მერმე სულ ყველანი ერთად წავედით ავაზაკობის ჩასადენადაო. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, სულ ყველანი დაჭერილნი არიან, გარდა თედეშვილისა, რომელსაც ჩქარა, საცა იქნება, გაჰბაწრავენ. მათ დასაჭერად, რომელნიც გოგლოშვილმა დაასახელა, ზომები არის მიღებული.

ალ. ალაზნისპირელი.

წვრილი ამბავი

ქაღალდის თეატრი. ერთს ამერიკელ ხუროთ-მოძღვარს განზრახვა აქვს ააშენოს უზარ-მაზარი ქაღალდის შენობა თეატრისათვის; ეს ახირებული ოსტატი ამტკიცებს, თურმე, რომ ქაღალდი გაცილებითა სჯობს შენობისათვის სხვა მასალას, მაგ. ქვასაო. ქაღალდით აშენებული სახლები ზამთრობით თბილი იქნება და სიცხეების დროს-კი—გრილიო.

იქნება ქაღალდის სახლები უფრო იაფადაც ჯდებოდეს, ვიდრე ქვისა, მაგრამ ამაზედ აღარას გვეუბნება ჯერჯერობით პატივცემული ხუროთ-მოძღვარი.

განცხადებანი

რედაქციის პასუხები

ბ. ხ—ელს. თქვენ ხელმეორედ გვეკითხებით, რად არ ვბეჭდავთ ჩემს წერილსაო? ბატონო, რად ვერ გაიგეთ, რომ უსახელო წერილების ბეჭდვას რედაქცია ვერ იკისრებს, ეს ერთი. მეორე, რატომ არ გსურთ თქვენი სახელი და გვარი შეგვატყობინოთ? თუ ჩვენგან სრულს ნდობას თხოულობთ, განა თქვენ-კი არა ხართ მოვალე, რომ გვაუწყოთ თქვენი ვინაობა?

ყვირილა, ბ-ნ გ. გ—ძეს. თქვენი წერილი შემოკლებით დაიბეჭდება, ესე იგი, მხოლოდ ის, რაც საკამათო საგანს შეეხება, დანარჩენი-კი სრულებით მეტია. ყოველს მართებულს კამათში კერძოობას და პირადობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ცნობილის ფაბრიკის
როიალები
პია ნინო
ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.
ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.
ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.
კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა
ბ. მ. მირიმანიანისა
Музыкальное деп
Б. М. Мириманяна.
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузин
Дворянства.

იკვირდით ჩემი ახალი საშუალების გამოცხადება ქართული წიგნების განსახორციელებლად!? ეს ნახტომის შეშლა და «ახალი მკითხველის» წიხლის კვრა კი არ არის, ვიმეორებ, ეს იმას ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ, რომ მე ვეძებ ყოველ-გვარ საშუალებას, რათა სრულ ვყო ქართული მწერლის ნაკალმევის გამოცემის საქმე ისე, როგორც მრეწველები და ხელოსნები ბაზარს ეძებენ თავიანთის ნაჰირნახულებისთვის, თორემ ვისთვის რა გამოსადეგია, რომ მეწალის მიერ შეკერილი წაღები მის მწირ დუქანში დალპეს და მწერლის ნაკალმევი მაგიდის უჯრაში!.. არ ვიცი, ღმერთმანი, რას მივაწერო თქვენი ამხედრება ,,ივერიაში‘‘ გამოცხადებულ ჩემ შუამავლობაზე ქართული წიგნების გამოცემაში. თქვენ ამბობთ, რომ ,,ეს არ ახალია, ძველია‘‘, მაგრამ ვისთვის და რისთვის ამბობთ ამას, არ ვიცი, როდესაც ჩვენ კრინტიც არ დაგვიძრავს ამაზე, ჩვენ მხოლოდ გამოვაცხადეთ, რომ ვკისრულობთ შუამავლობას ქართული წიგნების ავტორს და გამომცემელთა შორის. აი აზრი ჩვენი წერილისა და სხვა არაფერი. „ამას მ. შარაძე დიდი ხანია ადგაო: ვისაც კი სურს თავისის საფასით წიგნის გამოცემა გაუგზავნოს მაქსიმე შარაძეს და ისიც დაჰბეჭდავსო‘‘... „საიდამ სადაო ვბდაო საბაო“, ვიტყვით ჩვენც: ჩვენ საუბარი გვაქვს ავტორთა და გამომცემელთა შორის შუამავლობაზე და თქვენ-კი ბრძანებთ, რომ ,,ვისაც ჰსურს თავისის საფასით წიგნის გამოცემა, გაუგზავნოს მაქსიმე შარაძესაო და ის დაჰბეჭდავსო“... ეს ორი საგანი, მგონია, სულ სხვა და სხვა არის და მე მხოლოდ ისღა დამრჩენია მოგახსენოთ, რომ ჩემი წერილის სული თქვენ ვერ გაგიგიათ. აბლათ იმიტომ, რომ ახალია, თორემ ძველს იმედია გაიგებდით...

რაც შეეხება თქვენს სიტყვებს „ყველა აქ ჩამოთვლილ საქმეთა შორის საპატიო და საკადრისი ბ-ნ ივ. როსტომაშვილისა არის მხოლოდ „რედაქცია გამოცემისა“ და იქნება „კორექტურაც“, დანარჩენები-კიო: საცენზურო კომიტეტში წასვლა, ხაზინაში წასვლა მარკის სასყიდლად, შეკერვა წიგნისა (ეს ხომ ამკინძველის საქმეა), წიგნების დარიგება მაღაზიებში და სხვა ამისთანა ბუჩულები განა საკადრისია „მეცხრამეტე საუკუნის ვახუშტის“ ავტორისათვის“-ო, დიახ, რაც შეეხება ამ სიტყვებს, იგი მე უღირს საგნად მიმაჩნია გაზეთისთვის და ამიტომ ხმას არ ვიღებ... „ცნ. ფ.“ შენიშვნებში ბევრი სიტყვებია პირადად ჩემზე, ჩემს ხასიათზე, „ის ილეწის, სწრაფობს, თვისს ნერვებს სწვავს სიჩქარის ცეცხლში და ბოლოს-კი ხელში არა რჩება რაო“.

მე, მართლაც, იქნება სწორედ ასეთი აჩქარებული ხასიათისა ვარ, მაგრამ რას ვიზამთ, ხასიათს რას ვუშველით, თქვენ ის მითხარით, ვის რა გავუფუჭე ამით, ვის რა წავართვით, ვის რა ვაწყენინეთ?—მგონია, არავის და არაფერი. თუ იტყვით, რომ საქმეს ცუდად აკეთებო, აფერხებო, რა უყოთ, ამაზე მეტის პატრონი არა ვარ და უბრალო მამაკვდავს ძალად ხომ ვერ გამხდით ჰენიოსად!! განა ის-კი კარგი იქმნებოდა, რომ გულზე ხელები დამეკრიბა და მელოდნა—აცა ვინ გამოჩნდება, რომ ჩემზე უკეთ გააკეთოსო!? დეე, ისევ ისეთი ვიყო, როგორიცა ვარ, აჩქარებული, ყოველ-დღე ახალის მწყურვალი, ახალის დამწყობი, რა ვუყოთ, რომ ყველაფერს კარგად ვერ გავაკეთებ, დანაკლისს შემდგომი შეასრულებს და გამოვა სრული...«გასწი, მერანო, შენს ჰენებას არ აქვს სამზღვარი... ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება! და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება, და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს...“

თქვენ და სხვები ხშირად მიკიჟინებთ «ქართველთა ტომი» კარგი სურათებიანი ვერ არისო, აჩქარება ეტყობაო, ბ-ნმა ივ. ბ—ლმაც ესე გამკრა, მაგრამ არა, ბატონებო: „შექმენით თვით უკეთესი და მაშინ დამწიხლეთ“, თორემ ისე, განყენებულად, მეც ძალიან კარგად ვიცი, რაგვარად უფრო უმჯობესი იქნებოდა მისი თუ სხვა რისიმე გამოცემა... მაშ, თქვენი შემყურე და დამწუნე, ნულარას გამოვცემთ!? ახშიაც არის აგვიცხადდება. მაგრამ ტყუილად არ ამბობს ცნობილი ილიკო (ილია ალხაზიშვილი): „ცხოვრება არავის უცდის, ბუნების ჩარხის ტრიალი არავისთვის შემდგარა“... მე, მართალია, გარეგნობით „ნახტომი თითქმის მეშლება“, მაგრამ ყოველი გამოცდილი კაცი ადვილად მიხვდება, თუ რა ხასიათისაა ეს „ნახტომის შეშლა!..იგი აზრის ჯ მიმართულების შეშლა-კი არ არის, არამედ და მხოლოდ ნივთიერ საშუალებათა ძებნა-გაძლიერებაა ქართული წიგნების მრავლად გამოსაცემად და სხვა არაფერი. მაგრამ, განა დასაძრახისი ვარ, რომ მე, თვით ღარიბი კაცი, რომელსაც დღეს ამაზე მეტი საქმე სხვა არაფერი მაქვს, ყოველის მხრით ვცდილობ გამომცემლობითი საქმის გაძლიერებას?—მგონია, რომ არა. სამეცნიერო წიგნების გამოცემას „ნავთ-საყუდი“ უკვე აქვს, ეს არის „ახალი მკითხველი“, მაგრამ არის კიდევ სხვა მრავალი ნაკალმევი, რომელსაც აგრედვე სჭირია ასეთი „ნავთ-საყუდი“. ამ გვარ ნავთ-საყუდად „ახალი მკითხველის“ პროგრამის და შეძლების გარეშე ნაკალმევისათვის მე სხვათა შორის ის შუამავალი დავასახელე, რომელზედაც „ივერიაში“ მქონდა ბაასი და რომელიც გახდა, მგონია, მიზეზი „ნც. ფურც.“ შენიშვნების ავტორის ჩემდამი მამა-შვილური დარიგება-მოძღვრება-კიცხვისა. რა არის აქ ცუდი ან საკიჟინებელი? ყოველი შეგნებული მამულის-შვილის ვალია ასპარეზზე გამოიყვანოს ქვეყნის მიძინებული ძალები და საშუალებანი

მისსავე საკეთილდღეოდ და რად [illegible]
უცხოვებათ, როცა მე, ხალხის გ
ნებითი განვითარების მოთაყვანე
ვცდილობ—რვა თუმანი თბილისელ
გამოვაღებინო, ათი თუმანი ბათუ
მელს, შვიდი თუმანი ხონელს, ორ
თუმანი ახალ-ქალაქელს და სხვა-დ
სხვ. მათდა ქვეყნის სასარგებლო-ს
სახელოდ!? უმისოდ ხომ მიმალულ
იქნებოდა ეს ძალა და საშუალება!
ჩვენში აქამომდეც არსებობდა კერ
ძოდ წიგნების გამოცემა, ესე ი
ბევრი წიგნი ან თითონ ავტორ
გამოუცია, ან სხვას, აწ მე მხოლო
მსურს ამ საქმეს, განსაკუთრებ
პროვინციელთათვის, უწყებული ო
განიზაცია მივცე, რომ ყველამ იც
დეს ამ ორგანოს არსებობა
ვერ წარმომიდგენია, რატომ ა
მოსწონს ეს ჩვენი განცხად
„ცნობის ფურცლის“ შენიშვნებ
ავტორს? მის შენიშვნებიდამ ამ სა
მის შესახებ ჩვენ მხოლოდ ის და
კვნა გამოვიტანეთ, რომ «ვისა
გსურთ თქვენის საფასით წიგნი გ
მოსცეთ, მ. შარაძეს გამოუგზავნე
და ისიც გამოსცემსო», მაგრამ, მგო
ნი, ჩვენ ამის შესახებ კრინტიც ა
დაგვიძრავს, ჩვენი წერილი ეხებ
მხოლოდ „შუამავლობას“ ავტორთ
და თავისუფალ გამომცემელთა შო
რის. შენიშვნების ავტორი მაყვედ
რის, რომ ბევრ საქმეს ეჰიდებაო დ
თვითონ-კი ამოდენა ბარგი ამკიდა..
რაღა ეს მინდოდა, თუ-კი, მართ
ლა, შებრალება არის სადმე!.. *)

ივანე როსტომაშვილი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28-го Апрѣля 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.